6779/3-2/23 2 14092023

6779/3-2/23
14-09-2023

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს
ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

წლების განმავლობაში საქართველო IPRM-ის შეხვედრაზე ითხოვს, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილი საფლავები მოინახულონ, განსაკუთრებით აღდგომის დღეებში.

შესაბამისად მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის ფარგლებში მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში და გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ კითხვებზე:

1. რა პროგრესია საქართველოს IPRM-ის შეხვედრაზე გამოთქმულ მოთხოვნასთან დაკავშირებით?
2. რა არის არგუმენტი იმისა, თუ რატომ არ ეძლევა მოსახლეობას წინაპრების საფლავების ნახვის უფლება?
3. მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეებს არ ეძლევათ უფლება, წინაპრების საფლავები მოინახულონ, ჩრდილოეთ ოსეთის მცხოვრებლებმა თრუსოს ხეობაში მოინახულეს წინაპრების საფლავები, რადიო თავისუფლების ვებ-გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით[1]; ეს ყველაფერი პროპორციული არაა, მით უფრო იმ ფონზე, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკას საჯარო ტერიტორიული პრეტენზიები აქვს თრუსოს ხეობასთან დაკავშირებით. ამ კუთხით ხედავს თუ არა თქვენი უწყება პრობლემას

[1] https://www.radiotavisupleba.ge/a/32592380.html

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თეონა აქუბარდია